

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია [-----] წლის [----] -[-----]

მხარეები:	ოპერატორი	აბონენტი
სახელი/სახელწ./ UID:	შპს "მაგთიკომი",	
საიდ./პირადი N	204876606	
საკონტაქტო ტელ.:	(995 32) 217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი)	
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@magticom.ge	

ოპერატორის:

მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7
საბანკო რეკვიზიტები:	GE73VT660000000423607; GE96TB0600000899467899; GE66BG000000241607901;

აბონენტის (იურიდიული პირის შემთხვევაში ან თუ ფიზიკური პირის სახელით ხელმოწერი სხვა პირია) უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები:

სახელი	გვარი	პირადი ნომერი

სააბონენტო ნომერ(ებ)ი 1) 5XX XXX XXX; 2) 5XX XXX XXX; 3) 5XX XXX XXX; 4) 5XX XXX XXX; 5) 5XX XXX XXX.
 სიმ-ბარათის N 1) XXX XXX XXX; 2) XXX XXX XXX; 3) XXX XXX XXX; 4) XXX XXX XXX; 5) XXX XXX XXX.
 eSIM

აბონენტზე გადაცემული სიმ-ბარათის გამოყენების მიზნობრიობა აღნიშნულია ქვემოთ:

სტანდარტული	მოდემი

1. ოპერატორი გაუწევს აბონენტს მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას. ოპერატორი დაარეგისტრირებს აბონენტს სიმ-ბარათის ან ინტეგრირებული (ელექტრონული) სიმ-ბარათის საშუალებით (E-Sim). მომსახურების მიწოდება დაიწყება ამ დოკუმენტზე აბონენტის ხელმოწერის და სააბონენტო ანგარიშზე თანხის შეტანის ან მომსახურების პაკეტის შექმნიდან (გააქტიურებიდან) არაუგვიანეს 24 საათში.

2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება: 1. წინამდებარე დოკუმენტის; 2 „მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების“, 3. „ძირითადი მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების“; 4. „კონფიდენციალურობის პოლიტიკის“ და 5. „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ საფუძველზე. ჩამოთვლილი დოკუმენტები, წინამდებარე დოკუმენტთან ერთად წარმოადგენენ ერთიან (მთლიან) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება). აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე (www.magticom.ge) და ამ დოკუმენტზე აბონენტის ხელმოწერის შემდგომ ასევე განთავსდება პორტალზე აბონენტისათვის ხელმისაწვდომი გახდება პორტალზე რეგისტრაციისთანავე და გაეგზავნება აბონენტს მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართზე (ელ. ფოსტის მითითების და აბონენტის სათანადო სურვილის შემთხვევაში). პორტალზე აბონენტის რეგისტრაცია ხორციელდება სააბონენტო ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების საფუძველზე.

გაფრთხილება! აბონენტი წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება მთლიანად მითითებულ ყველა დოკუმენტს. შესაბამისად, ხელმოწერის განხორციელებამდე, თუ აბონენტი არ არის გაცნობილი ჩამოთვლილ დოკუმენტებს, იგი ვალდებულია სათანადოდ გაეცნოს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს ხელმოწერა. ამასთან, აბონენტს უფლება აქვს მაგთიკომის წარმომადგენლისაგან მოითხოვოს დოკუმენტების გაცნობა მისთვის სასურველი ფორმით, მათ შორის, ფიზიკურად (ნაბეჭდი სახით) გადაცემა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების/დამატებითი სერვისის მიღებისას, ოპერატორის მიერ შეთავაზებული ფორმით/პირობებით (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება, USSD, პორტალი, კოდური სიტყვა, ელექტრონულ მოწყობილობაზე ხელმოწერა - signature pad, ელ. ფოსტა) აბონენტის მხრიდან ნების გამოვლენა პორტალიდან, სააბონენტო ნომრიდან/საკონტაქტო ნომრიდან/ელ.ფოსტიდან ან ნებისმიერ სხვა

ფორმით განხორციელებული დასტური უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას კონკრეტულ ქმედებაზე, პირად ხელმოწერას მატერიალურ დოკუმენტზე და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა.

4. ოპერატორი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მოახდენს აბონენტის შესახებ პერსონალურ მონაცემების დამუშავებას (კერძოდ, აბონენტის ვინაობის, პირადი ნომრის, მისამართის და სხვა ინფორმაციის, მათ შორის, კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, რითაც შესაძლებელია აბონენტის იდენტიფიცირება), რაც ემსახურება, თუმცა არ შემოიფარგლება აბონენტისათვის მომსახურების გაწევის მიზნებით. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი აცხადებს თანხმობას, რათა მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ოპერატორის მიერ, ისევე როგორც გადამოწმდეს შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს/პირის მონაცემთა ბაზაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. აბონენტს უფლება აქვს ოპერატორისათვის მიმართვის გზით გამოიხმოს აღნიშნული თანხმობა ნებისმიერ დროს, რამაც შეიძლება გამოიწვევს მისთვის ცალკეული მომსახურების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტა.

5. ტარიფები. სტანდარტული სიმ-ბარათის ღირებულება - 10¹ ლ. E-Sim-ის აქტივაცია - 10 ლ. მომსახურების სტანდარტული ტარიფები: ხმოვანი ზარი საქ.-ს მობილურ და ფიქსირებულ ქსელში - 1 წუთი - 0.24 ლ და ზარის წარმოწყობა 0.12 ლ²; SMS (საქ.) – 0.06 ლ. ინტერნეტი - 1მბ - 0.1ლ. სხვა სატარიფო გეგმების, დამატებითი სერვისების, საერთაშორისო ზარების ტარიფები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე; **მომსახურების ტარიფები 3G (HSPA+) მოდემისთვის: 1000 მბ. – 5 ლ.** შესაძლებელია მობილური ინტერნეტ პაკეტების გააქტიურება; **მომსახურების ტარიფები WiFi მოდემისთვის: 30** დღიანი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება 29 ლ (შემდგომში - WiFi პაკეტი). ამასთან, თუ WiFi პაკეტის მოქმედების 30 დღიანი ვადის ამოწურვამდე, აბონენტი შეიძენს იგივე WiFi პაკეტს, ახალი პაკეტის მოქმედების ვადა არ გადაიწევს და იმოქმედებს წინა WiFi პაკეტის ყიდვიდან 30 დღის განმავლობაში. 50 000 მეგაბაიტის მოხმარების შემთხვევაში ინტერნეტის სიჩქარე იქნება მაქსიმუმ 300 კბ/წმ.; აბონენტი უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით/პირობებით, გაიქტიუროს/შეიძინოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული ტარიფი/პაკეტი.

6. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის საფუძველზე და მოქმედებს მის შეწყვეტამდე. წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე პირად, საიდანაც ერთი გადაეცემა აბონენტს ხელმოწერისთანავე.

7. აბონენტი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ზუსტად აღიქვამს ამ ხელშეკრულების პირობებს/შინაარსს, სამართლებრივ შედეგებს და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას (ეთანხმება მას). ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

8. აბონენტი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს ხელშეკრულებაში მის მიერ მითითებული საკონტაქტო მონაცემების ნამდვილობას და სისწორეს.

აბონენტი ხელმოწერით და შესაბამისი აღნიშვნით ადასტურებს ხელშეკრულების გადაცემის მისთვის სასურველ ფორმას, რაც გულისხმობს, რომ აბონენტის მიერ არჩეული ფორმა არის აბონენტისათვის საუკეთესო საშუალება, რათა მას ნებისმიერ დროს ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ოპერატორის მიერ მისთვის გადაცემულ ხელშეკრულებაზე (მის სრულ შინაარსზე):

1	ფიზიკურად ნაბეჭდი სახით	
2	ელექტრონულად - ელ. ფოსტის საშუალებით	
3	ელექტრონულად - პორტალის (mymagti) საშუალებით	X
4	მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით	X

ხელმოწერები:

ოპერატორის წარმომადგენელი

აბონენტი/უფლებამოსილი პირი

¹ ცვლილება ძალაშია 2022 წლის 3 აგვისტოდან და 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

² ცვლილება ძალაშია 2022 წლის 3 აგვისტოდან.